საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს

2016 წლის 25 მაისის

დადგენილება №2021

სტუ-ის სასწავლო პროცესის მართვის
ინსტრუქციის ცვლილებების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

შეტანილ იქნეს ცვლილება სტუ-ის სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციაში, მე-4 მუხლის მე-6 და მე-13 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4.6. სასწავლო კურსის ხელახლა გავლა შეიძლება შესაბამისი კურიკულუმით გათვალისწინებულ სემესტრში; გამონაკლისი შეიძლება დაშვებულ იქნეს სწავლების დეპარტამენტთან შეთანხმებით“;

„4.13. საფინანსო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ელექტრონულ უწყისებში გაფრთხილების ნიშნად სტუდენტის გვარსა და სახელს შეეცვლება ფერი, ხოლო ვალდებულების წარმოქმნიდან 6 კვირის (დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტს – 2 კვირის) განმავლობაში ფინანსური დავალიანების დაუფარაობის შემთხვევაში მას შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი“.(ძალაში შევიდეს 2016-2017 სასწავლო წლის დასაწყისიდან).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე	ა. ფრანგიშვილი
აკადემიური საბჭოს მდივანი	გ. სალუქვაძე